ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5684410

ნომერი: AR1856999

თარიღი : 27.10.2021

გაცემის თარიღი : 15.11.2021

გაცნობის თარიღი : 15.11.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N 66;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა გოგრიჭიანი პ/ნ 12001014132
- თბილისი პ.იაშვილის ქ. N 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 27 ოქტომბერს №AR1856999 განცხადებით მომართა კობა გოგრიჭიანმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის

№5450506 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №66-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.12.12.002.045) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 15 ივნისიდან 2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

სამსახურის 2021 წლის 05 აგვისტოს №5536968 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდა 2021 წლის 04 აგვისტოს №AR1842311 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.

სამსახურის 2021 წლის 25 აგვისტოს №5565803 ბრძანებით, ასევე, გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +57.30 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდა 2021 წლის 14 აგვისტოს №AR1844293 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დაზუსტდა ბინებისთვის მიკუთვნებული სხვენები და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ XIII სართულის (+40.80 ნიშნული) გეგმაზე „2-3“ და „ს-ე“ ღერძებში არსებული სხვენის ფართობები ეკუთვნის XII სართულზე (+37.50 ნიშნული) მდებარე №33 და №33ა ბინებს. ხოლო, XVI სართულის (+50.70 ნიშნული) გეგმაზე „6-7“ და „პ-ე“ ღერძებში არსებული სხვენის ფართობები ეკუთვნის XV სართულზე (+47.40 ნიშნული) მდებარე №68 ბინას. XVII სართულის (+54.00 ნიშნული) გეგმაზე „7-10“ და „გ-ბ“ ღერძებში არსებული სხვენის ფართობი ეკუთვნის XVI სართულზე (+50.70 ნიშნული) მდებარე №112 ბინას. ამასთან, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, უბრალოდ, თითოეულ სხვენზე დაზუსტდა იმ ბინის ნომერი (დუპლექსების), რომელსაც ეკუთვნის შესაბამისი სხვენი. ამასთან, წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლება არ იწვევს ბრძანებაში დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული XIII (+40.80 ნიშნული) და XVI (+50.70 ნიშნული) სართულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე სართულების გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 15 ივნისის №5450506 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.